ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
"თევდორე მღვდლის 51"–ის

ოქმი № 1

ქ. თბილისი 3 ნოემბერი 2006 წელი

კ რ ე ბ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ნანული წიკლაური (დაბ.07.01.1958წ. მცხ. თბილისი, გლდანის 3 მკრ, კორპ.10, ბინა 59, პ/მ №01002002398 №გ0064809 გაცემული გლდანის რაიონის I ქგ მიერ 30.08.1995წ.)
იური ზურაბიშვილი (დაბ.15.07.1954წ., მცხ.ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ.№9, ბ.3, პ/მ №01008025640, №ბ0377207 გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონის შსს საპასპორტო განყოფილების მიერ 26.03.2003წ.)
შპს ფირმა „იმედი 21"-ის გენ.დირექტორი გელა ლომიძე (დაბ.15.09.1960წ., მცხ.თბილისი, დიღმის მასივი, 6 კვარტ, კორპ.13, ბინა №60, პ/მ №01006008243 №ა0177750 გაცემული დიდუბის რაიონის I ქგ მიერ 31.12.1997წ.)

კრების თავმჯდომარე: იური ზურაბიშვილი

კრების მდივანი: გელა ლომიძე

დღის წესრიგი:

1. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 51"-ის შექმნა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით.
2. იმა „თევდორე მღვდლის 51"-ის თავმჯდომარის არჩევა.

მოისმინეს:

იური ზურაბიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამხანაგური ბინათმშენებლობის წესით მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა ემთხვევა იმ ინტერესებს, რომელიც გააჩნიათ აქ შეკრებილებს. როგორც ცნობილია მშენებლობის ნორმალური წარმართვისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა, რომელშიც ისინი გაწევრიანდებიან. აგრეთვე არჩეული უნდა იქნას ამხანაგობის თავმჯდომარე.

მომხსენებელმა ამხანაგობის თავმჯდომარედ დაასახელა **ნანული წიკლაურის** კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს:

კრების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ი.მ.ა. "თევდორე მღვდლის 51"-ის ჩამოყალიბებას და მის თავმჯდომარედ ნანული წიკლაურის არჩევას, რის შედეგადაც კრებამ მიიღო გადაწყვეტილება.

კრებამ დაადგინა:

1. ჩამოყალიბდეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51".
2. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას **ნანული წიკლაური.**
3. ამხანაგობის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, **თევდორე მღვდლის ქ.№51.**

კრების თავმჯდომარე: იური ზურაბიშვილი

კრების მდივანი: გელა ლომიძე

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 4832/1

ორი ათას ექვსი წლის **სამ** ნოემბერს, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4. მომმართეს: **იური ზურაბიშვილმა და გელა ლომიძემ.**

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნადვილად: **იური ზურაბიშვილი (დაბ.15.07.1954წ., მცხ.ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ.№9, ბ.3, პ/მ №01008025640, №ბ0377207 გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონის შსს საპასპორტო განყოფილების მიერ 26.03.2003წ.)**
შპს ფირმა „იმედი 21"-ის გენ.დირექტორი გელა ლომიძე (დაბ.15.09.1960წ., მცხ.თბილისი, დიღმის მასივი, 6 კვარტ, კორპ.13, ბინა №60, პ/მ №01006008243 №ა0177750 გაცემული დიდუბის რაიონის I ქგ მიერ 31.12.1997წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე **იური ზურაბიშვილის და გელა ლომიძის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური 4,72 ლარი, დღგ ჩათვლით.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N121208048
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.11.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილის ჟ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	378324
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	19850582047312

სანოტარო მოქმედებასა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ხელშეკრულება

მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ

ქ. თბილისი „ 4“ მარტი 2005 წ.

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნანული წიკლაური (დაბ. 07.01.1958 წ. მცხ. ქ. თბილისი., გლდანის რაიონი III მ/რ 10 კორპ. ბინა №59, პ/მ №გ0064809 პირადი №01002002398 გაცემული თბილისის გლდანის რაიონის შ.ს. I ქვეგანყოფილების მიერ) შემდგომში „თავმჯდომარედ“ წოდებული, ერთის მხრივ და შპს ფირმა „იმედი XXI“-ის წარმომადგენელი, მისი გენ. დირექტორის გელა ლომიძის (დაბ. 15.09.1960 წ. მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მასივი 6 კვ. 13 კორპ. IV სად. ბ. №60 პირადობის მოწმობა №ა0177750 პირადი №01006008243 გაცემული დიდუბის რაიონის შ.ს. I ქვეგანყოფილების მიერ 31.12.1997 წ.) შემდგომში „მესაკუთრედ“ წოდებული, მეორეს მხრივ, ერთად წოდებული „მხარეები“ ვიღებს წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ამხანაგობის“ მიერ თავისი სახელით, რისკით და ხარჯებით „მესაკუთრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (სათანადო წესით დამოწმებული მრავალფუნქციონალური საცხოვრებელი სახლის აშენება, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№51.

II. წილების განაწილება

2.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ მხარეთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული „მხარის“ კუთვნილი ბინის განთავსების სართული და არასაცხოვრებელი დამხმარე ფართის (საჭიროების შემთხვევაში – სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართობი.
ბინებისა და ფართის არჩევანი მოხდება ურთიერთშეთანხმებით.

2.2. „მესაკუთრესა“ და წევრებს ბინა (ბინები) ჩაბარდება კარკასულ მდგომარეობაში.

ა) **ცენტრალურ** მაგისტრალებში ჩართული და ბინებში შეყვანილი ბინის კომუნიკაციები (წყალ-კანალიზაცია, გაზი, ელ. გაყვანილობა);

ბ) **სადარბაზოები** და გარე ფასადი შელესილი, შეღებილი;

გ) **სახლის** სახურავი მთლიანად გადახურული;

დ) **ტიხრები** აშენებული სატიხრე ბლოკით.

2.3. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“-ის **წილი შეადგენს** ამხანაგობის **მთელი** საერთო **საკუთრებას**, საცხოვრებელი ფართისა და საერთო სარგებლობის ფართის ჩათვლით, რომლის

გადანაწილების უფლება აქვს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, გარდა მიწის „მესაკუთრის“ წილისა.

2.4. მიწის „მესაკუთრე“, რომელმაც აქციონერობა ი.მ.ა. „თევდორე მღვდლის 51“-ში ხელშეკრულებაში აღნიშნული წესით უნდა გადაიცეს (მიწის ნაკვეთი 4233 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა ნაგებობებით აქციონერობის მიერ აშენებული სახლში. აქციონერობაში მათ მიერ განხორციელებული შესატანის საკომპენსაციოდ მიიღებენ 22% აშენებული „სახლის“ საერთო ფართიდან მინუს 255კვ.მ., რომლის კვადრატულობის რაოდენობა იქნება განსაზღვრული სამშენებლო პასპორტით. გარდა ამისა. მიიღებენ ავტოფარეხებს. რომელთა საერთო ფართი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ავტოსადგომის 22% -ს მისასვლელი გზების ფართის გამოკლებით.

III. მხარეთა ვალდებულებები

3.1. აქციონერობა „თევდორე მღვდლის 51“ პასუხს აგებს შემდეგი ვალდებულებების შესრულებას:

ა) სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) მშენებლობისთვის საჭირო ყველა ნებართვის მიღება შესაბამისი უწყებებიდან;

გ) მშენებლობის დაფინანსება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით იმ მიმართებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში - 48 თვის განმავლობაში მოხდეს აქციონერობა „თევდორე მღვდლის 51“-ში გათვალისწინებული „სახლის“ მშენებლობის სრულად დამთავრება;

დ) ინვესტიციების მოზიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად;

ე) მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა დამტკიცებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში;

ვ) მშენებლობა დაიწყება (საძირკვლის ჩასხმა) საძიებო-საპროექტო სამუშაოების დამთავრებისა და მათი შესაბამისი სამსახურების მიერ დამტკიცებისთანავე და იგი დამთავრდება - 48 თვის განმავლობაში „მესაკუთრის“ მიერ მის საკუთრებაში მყოფ ტერიტორიიდან გასვლის შემდეგ;

ზ) აქციონერობა „თევდორე მღვდლის 51“ საფინანსო საქმის წარმოება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და პასუხისმგებლობა.

თ) მხარეებს ეკრძალებათ აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთის იპოთეკის წესით დატვირთვა, გასხვისება ურთიერთშეთანხმების გარეშე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე.

3.2. „მესაკუთრე“ თავის მიწის ნაკვეთს, რომლის საერთო ფართობია 4233 კვ.მ. და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობები, საერთო ფართით 449 კვ.მ. აფასებს 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარად, ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში 734 000 (შვიდას ოცდათოთხმეტი ათასი) ლარად.

3.3. სახლის მშენებლობაში მხარეთა შენატანებს წარმოადგენს ყველაფერი ის, რაც მათ რეალურად შეიტანეს აქციონერობაში წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

IV. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1. ამ ხელშეკრულებაში მითითებული მშენებლობის ვადის გასვლის შემდეგ, ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვერ შესრულების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია გაგრძელდეს 6 თვით და „მესაკუთრე“ ყოველ გადავადებულ თვეზე მიიღებს მისაცემი ფართის 1%, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“-ის მხრიდან ვალდებულებათა კვლავ ვერ შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება, რის შემდეგაც:

ა) მიწის „მესაკუთრის“ მფლობელობაში დარჩება მშენებლობის დაწყებამდე არსებული მიწის კუთვნილი ფართი;

ბ) „მესაკუთრეს“ უფლება აქვს მშენებლობის დამთავრების მიზნით თავისი შეხედულებისამებრ მოძებნოს სხვა კერძო ან იურიდიული პირი და გააფორმოს მასთან ახალი ხელშეკრულება.

4.2. ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ ვალდებულია ამხანაგობაში ახალი წევრების მიღების შემთხვევაში მათი კუთვნილი წილი და მოძავალში მისაღები შესაბამისი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი, ამხანაგობის წევრთა შორის წინასწარი შეთანხმებით გაანაწილოს (რაც არ გულისხმობს საჯარო რეესტრში წინასწარი ჩაწერის გაკეთებას) ისე, რომ ახლად მიღებულ წევრებს არ წარმოეშვათ სადავო საკითხები და პრეტენზიები მიწის „მეპატრონესთან“ სადავო საკითხთა წარმოქმნის შემთხვევაში ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ ვალდებულებას იღებს მოაგვაროს იგი თვითონ, საკუთარი ხარჯებით.

4.3. ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ მიერ აშენებული სახლის ექსპლუატაციაში შესვლამდე, მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობასთან, საკუთრებებთან, პროექტსა და ნებართვებთან ერთად წარმოადგენს თევდორე მღვდლის ქ.№51-ში. მიწის „მესაკუთრეთა“ განუყოფელ საკუთრებას. ყოველივე ზემოაღნიშნული ამხანაგობა საკუთრებაში გადავა ამ ხელშეკრულებაში მითითებული წესისა და დროის მიხედვით.

4.4. ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად ვერ შესრულების შემთხვევაში კარგავს უფლებას მშენებარე სახლზე და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე რჩებათ მიწის „მესაკუთრეებს“, რომლებიც მას განკარგავენ თავიანთი შეხედულებისამებრ.

4.5. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტისათვის „მესაკუთრე“ ხდება ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“-ს წევრი, რომელი ამხანაგობის საკუთრებაშიც გადადის მიწის ნაკვეთიც ახლად აშენებულ სახლსა და საკუთრებებთან ერთად. შესაბამისი ჩანაწერი კეთდება საჯარო რეესტრში.

4.6. საცხოვრებელი სახლის პროექტირებაში დაშვებული შეცდომების შემთხვევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეზობლების ან რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს პრეტენზია, პასუხისმგებელია ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“.

4.6.1. ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ ვალდებულია ასაშენებელი სახლის მშენებლობა აწარმოოს ორ ნაწილად:

ა. პირველი ნაწილი მოიცავს თევდორე მღვდლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ასაშენებელი სახლის მშენებლობის 12 თვეს;

ბ. მეორე ნაწილი მოიცავს მშენებლობის გაგრძელებას თევდორე მღვდლის ჩიხის მხარეს, საცხოვრებელი სახლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას.

4.6.2. პირველ ნაწილზე სამშენებლო სამუშაოების რკინა-ბეტონის კარკასის სახით დამთავრების შემდეგ ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“ უფლებამოსილია მოითხოვოს მეორე ნაწილის სამუშაოების დასაწყებად „მესაკუთრესაგან“ დარჩენილი ტერიტორიის გამონთავისუფლება, რაც გულისხმობს არა უმოკლეს 10 თვეს და მთლიანად განთავისუფლება მოხდეს 2 თვის ვადაში. ყოველ დაგვიანებულ თვეზე 12 თვის შემდეგ დაგვიანების ვადა დაემატება მშენებლობის საერთო ვადას.

4.7. წევრი და „მესაკუთრე“ უფლებამოსილია:

4.7.1. მიიღოს ინფორმაცია სახლის მშენებლობის შესახებ;

4.7.2. გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციას;

4.7.3. დადგენილ ვადაზე ადრე განახორციელოს თავისი შენატანი ერთობლივ საქმიანობაში;

4.7.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში დაუთმოს სხვა პირს თავმჯდომარის თანხმობით;

4.7.5. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე წერილობით შეატყობინებს რა თავმჯდომარეს, რის შემდეგაც დაიწყება გამსვლელის წილზე უფლების გასხვისების პროცედურა.

4.8. „მესაკუთრე“ და წევრი ვალდებულია:

4.8.1. სრული მოცულობით განახორციელოს თავისი შენატანი სახლის მშენებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ;

4.8.2. გადასცეს თავმჯდომარეს ყველა საჭირო დოკუმენტი და მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქმედების განხორციელებაში, რომელიც საჭიროა სახლში წილზე მისი უფლების შესაბამისი რეგისტრაციისათვის;

4.8.3. დაუყოვნებლივ აცნობოს თავმჯდომარეს პასპორტის, საცხოვრებელი ადგილის და საკონტაქტო ტელეფონის შეცვლის შესახებ ;

4.8.4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს ამხანაგობაში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად მასზე განკუთვნილ ფართობზე შიდა ტიხრების შეცვლას, ცვლილებები პროექტში უნდა დაფიქსირდეს აღნიშნული სართულის გადახურვამდე;

4.8.5. არ შეაფერხოს ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და არ გამოიწვიოს ამხანაგობის სხვა

წევრთა საკუთრების დაუშვებელი ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა და ზემოქმედებანი, რაც სცილდება დასაშვებ ფარგლებს. დაუშვებელია რკინა-ბეტონის კონსტრუქციის, საკომუნიკაციო შახტების დაზიანება, საერთო საკუთრების (მაგ. სადარბაზო, „კიბის უჯრედი“ და ა.შ.) თვითნებურად მიერთება და სხვა მსგავსი მოქმედებები;

4.8.6. არ მოახდინონ აშენებული სახლის ფასადის ნებისმიერი ფორმით შეცვლა თავმჯდომარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.9. თავმჯდომარეს უფლება აქვს:

4.9.1. დამოუკიდებლად განსაზღვროს ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების აუცილებლობა წინამდებარე ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად და განახორციელოს ეს მოქმედებები;

4.9.2. მოიზიდოს თავისი წილის ფარგლებში დამატებით შეთანხმების გარეშე, შესაძე პირები სახლის მშენებლობის ფინანსირებისათვის იმ პირობით, რომ ამ შესაძე პირთა უფლება მოვალეობები ძირითადად შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების „მხარეთა“ უფლება მოვალეობებს;

4.9.3. მოითხოვოს შესატანის განხორციელება სახლის მშენებლობისათვის, აგრეთვე ყველა საჭირო დოკუმენტი და მონაწილეობის მიღება ყველა მოქმედების განხორციელებაში, რომელიც საჭიროა ბინაზე საკუთრების უფლების შესაბამისი რეგისტრაციისათვის.

4.10. თავმჯდომარე ვალდებულია:

ა. წარმოადგინოს წევრები სახლის მშენებლობის დაფინანსების სხვა მონაწილეებთან, მესაკუთრესთან და გარეშე პირებთან;

ბ. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანებულ მხარეთა ქონების დაცვა;

გ. გასცეს „მესაკუთრის“ ან წევრის მოთხოვნის ინფორმაცია, რომელთა უშუალოდ დაკავშირებულია სახლის მშენებლობასთან და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან;

დ. მხარეები ვალდებული არიან არ გაახმაურონ ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

4.11. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მშენებლობის დაწყებიდან ფართის ჩაბარება უნდა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 48 თვის განმავლობაში.

4.12. წინამდებარე ხელშეკრულების 4.11. პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მესაკუთრე“ იღებს პირგასამტეხლოს გადასაცემი ფართის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე (თანხობრივად ან ფართის სახით).

V. პასუხისმგებლობა

5.1. მხარეთა პასუხისმგებლობა საერთო ვალდებულებებიდან გამომდინარე განისაზღვრება კანონით, ი.მ.ა. „თევდორე მღვდლის 51“ დებულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით.

VI. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გარემოებათა გამო.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს, თანახმად „ინკოტერმს 92“-სა, რომელიც კერძოდ მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, მიწისძვრებს, საომარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს და სხვა. აგრეთვე კანონმდებლობის შეცვლა, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები. მორატორიუმი, სასამართლოების გადაწყვეტილებები (განჩინებები) ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებები, დადგენილებები, სხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტები, ყველა იმ სახის ქმედებები, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებების მოშლის პატივსადები მიზეზები, რომლებიც ზემოთხსენებული ქმედებების მსგავსად შეუძლებელს გახდიან „თავმჯდომარის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევებში თავმჯდომარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადა გადაიწევს იმ ვადით, რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველ ძალთა სიტუაცია.

VII. დავათა გადაწყვეტა

7.1. მხარეები ყველანაირად უნდა ეცადონ გადაწყვიტონ მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავები, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ობიექტურად და მიუკერძოებლად. თავიანთი პოზიციების ურთიერთშეთანხმების გზით და არ უნდა აარიდონ თავი აღნიშნული წესის დაცვას.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტში აღნიშნული დებულება არ ართმევს მხარეებს უფლებას მიმართონ სასამართლოს თუ ურთიერთშეთანხმება ვერ იქნება მიღწეული.

VIII. წინამდებარე ხელშეკრულების ვადა და სხვა პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ვადაზე ადრე მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ასევე შეიძლება შეწყდეს ცალმხრივად და არასასამართლო წესით იმ შემთხვევაში და იმ პირობების არსებობისას, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

IX. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ხუთ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, .რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსთან, ხოლო დანარჩენი გადაეცემათ მხარეებს.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3. ხელშეკრულებებში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას, მხარეების წერილობითი თანხმობით.

9.4. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები . ბათილია შეტანის მომენტიდანვე.

9.5. ის ურთიერთობები. რომლებიც არ არიან რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„მესაკუთრე“:

შპს ფირმა „იმედი-XXI“-ის
გენ. დირექტორი:

გ. ლომიძე

2005 წ.

„ამხანაგობა“:

ი.მ.ს. „თეთრწყარო მღვდლის 51“
თავმჯდომარე:

ნ. ნიქლაური

„ — “ 2005 წ.

1. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 11 დოკუმენტი: 1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №1465/98, თარიღი 14.12.1998წ., გაცემის თარიღი 15.02.2005წ., 2) საკადასტრო რუკა, 3) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 10 დეკემბერს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №77-კ, 4) ქ.თბილისის ტექბიუროს მიერ 1998 წლის 9 დეკემბერს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა, 5) თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 20 აპრილის №08.23.274 დადგენილება, 6) ყადაღის ცნობა გაცემული 2005 წლის 4 მარტს, №ყად-3808/05, 7) შპს „იმედი XXI“-ის წესდება, 8) შპს „იმედი XXI“-ის დადგენილება გაცემული დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 20 დეკემბერს, რეესტრი №2/4-277, 9) შპს „იმედი XXI“-ის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 4 მარტს, რეესტრი №2/4-277, 10) შპს „იმედი XXI“-ის პარტნიორთა კრების ოქმი, 11) თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 25 თებერვლის №61 განკარგულება.

2. მხარეებს ეკისრებათ სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა 1396,50 ლარი.

3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქ.ოდილავაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს.

4. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება დანართებითურთ და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ქ.თბილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

რეესტრში რეგისტრაციის №579/1

საქართველო

ორი ათას ხუთი წლის ოთხ მარტს მე, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4. მომმართეს შემდეგმა პირებმა: ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 51“-ის თავმჯდომარე ნანული ჩიკლაურმა (დაბ.07.01.1958წ., მცხ.ქ.თბილისში, გლდანის 3მ/რ, კორპ.10,ბ.59, პ/მ №01002002398, №გ0064809 გაცემული გლდანის რაიონის შს I ქ/გ მიერ 30.08.1995წ.) და შპს ფირმა „იმედი 21“-ის გენ.დირექტორმა გელა ლომიძემ (დაბ.15.09.1960წ., მცხ.ქ.თბილისში, დიღმის მასივი, ნაკ. კორპ.13, ბ.60, პ/მ №01006008243, №ა0177750 გაცემული დიდუბის რაიონის შს I ქ/გ მიერ 31.12.1997წ.) განაცხადეს, რომ სურთ მრავალფუნქციონალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების დადება და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით (რომელთა რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ) მხარეების პირადობის დადგენის შემდეგ მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ამ განმარტებების შემდეგ მათ წარმოადგინეს მრავალფუნქციონალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს შემდეგ ხელშეკრულებას:

საქართველო

სანოტარო აქტი

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა

„თევდორე მღვდლის 53"-ის დაფუძნების შესახებ

2006 წლის 13 აპრილი

ნოტარიუსი ნ. გინტური (შემცვლელი პირი ნატო ჭანკოტაძე)
ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №47
ტელ: 935425

რეესტრი №1-3982

ქ. თბილისი
2006 წ.

სანოტარო აქტი

ბატონში რეგისტრაციის № 1-3982

საქართველო

ორიათასექვსი წლის ცამეტ აპრილს, ნ. გინტურის, ნოტარიუსის ქ. თბილისში, რომლის ნოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში შემცვლელ პირს ეკატო ჭანკოტაძეს, მომმართეს ქ/ბატონებმა **მალხაზი ქავთარაძემ, ბადრი დარჯანიამ, ემილი ქაიამ, ნოდარ ქავთარაძემ, ქეთევან ცერცვაძემ** პირადად და როგორც დავით დარცმელიძის წარმომადგენელმა, **ლეილა ჩხიროძემ** პირადად და როგორც გაჟა მოდებაძის წარმომადგენელმა, **გიორგი ჩერქეზიშვილმა, გაჟა გავაშელიშვილმა, კლარა ლომთაძემ, მარიკა ჯანიაშვილი-სურმავამ, აია კახაძემ, ლევან ხუხუამ, ბესარიონ კეკელიამ, ზაზა ხაჭაპურიძემ, ზვიად ბობოქაშვილმა, გიორგი ბაქრაძემ.** მათ მოითხოვეს ამხანაგობის დამფუძნებელი სანოტარო აქტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მალხაზი ქავთარაძემ** (დაბადებული 25.10.1955 წელს გარდაბანში, მცხ. გარდაბანი, სოფ. ნორიო პ/მ №ა0646310, პირადი №12001052075 გაც.11.02.2005წ. გარდაბნის მრ სამსახურის მიერ), **ბადრი დარჯანიამ** (დაბადებული 06.06.1949 წელს გეგეჭკორში, მცხ. თბილისი, საქსოფმანქანის დას. 1 კვ. 14 კოტეჯი პ/მ №დ0190456 პირადი №01028000447 გაც. 29.07.2000წ. თბილისის სამგორის შსს I ქ/გ-ს მიერ), **ემილი მიქაიამ** (დაბადებული 18.02.1951 წელს მარტვილში, მცხ. თბილისი, თემქა, 3 მ/რ, 5 კვ. კორპ. 52, ბინა 8 პ/მ №ბ0100716 პირადი №01021002705 გაც 24.02.1996წ. ნაძალადევის შს II ქ/გ-ს მიერ), **ნოდარ ქავთარაძემ** (დაბადებული 02.01.1952 წელს ფასანაურში, მცხ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, I კვ. კორპ. 15, ბინა 7 პ/მ №დ0663356 პირადი №01010001984 გაც 14.04.2005წ. ვაკის სმრ სამსახურის მიერ), **ქეთევან ცერცვაძემ** (დაბადებული 16.05.1959 წელს ფოთში, მცხ. ქ. ფოთი, ერეკლე მეორეს ქუჩა №77, პირადი №42001001494, პ/მ №გ 0672167, გაც. 28.04.2005 წელს ფოთის მრს სამსახურის მიერ), **ლეილა ჩხიროძემ** (დაბადებული 07.11.1953 წელს ვანში, პასპ. №1736702, პირადი №01027012128, გაც. 20.12.2005წ. ოსტატიციის სამინისტროს მიერ, მცხ ქ. თბილისი, მე-3 მასივი, მე-6 კვ. 2,ბინა 10), **გიორგი ჩერქეზიშვილმა** (დაბადებული 13.09.1979 წელს გორში, მცხ. გორი, გორკის ქ. 190/9, პ/მ №გ0173061, პირ№59001009930, გაც. 09.07.1997წ. გორის შსს-ს მიერ), **გაჟა გავაშელიშვილმა** (დაბადებული 07.07.1951 წელს ონში, მცხ. თბილისი, გლდანის V მ/რ, კორპ. 11, ბინა 92, პ/მ №ა0619695, პირ№01001039241, გაც. 21.01.2005წ. გლდანის სმრ სამსახურის მიერ), **კლარა ლომთაძემ** (დაბადებული 07.04.1939 წელს ამბროლაურში, მცხ. ქ. თბილისი, გლდანის 2 მ/რ, კორპ. 40, ბინა 12, პირადი №01001049648, პ/მ №ბ0736774, გაც. 06.07.2005 წელს გლდანის სმრ სამსახურის მიერ), **მარიკა ჯანიაშვილი-სურმავამ** (დაბადებული 04.08.1980 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, ჩიტაიას ქ. 20, პ/მ №დ0831245, პირ№01030014008, გაც. 09.02.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩუღურეთის სამსახურის მიერ), **მაია კახაძემ** (დაბადებული 19.08.1978 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქ. 56, პ/მ №დ0710902, პირ№01030001751, გაც. 17.06.2005წ. ქ. თბილისის ჩუღურეთის საკადასტრო და მოსახლეობის

სტრაციის სამსახურის მიერ), ლევან ხუხუამ (დაბადებული 31.07.1985 წელს თბილისში, მცხ. ლისი, მუხიანი მე-4 მ/რ, მე-7 კორპ. ბინა 52, პასპ. №1623137, პირ№01003014787, გაც. 7.2005წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ), ბესარიონ კეკელიამ (დაბადებული 31.05.1947 წელს ლისში, მცხ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 30ა/92ა, პ/მ №ა0251009, პირ№01018001578, გაც. 06.1999წ. დიდუბის შსს-ს მიერ), ზაზა ხაჭაპურიძემ (დაბადებული 23.02.1967 წელს თბილისში, ნ. თბილისი, უწერას ქ. №3, პ/მ №დ0107709, პირ№01004002682, გაც. 16.07.1996წ. გლდანის შს ქ/გ-ს მიერ), ზვიად ბობოქაშვილი (დაბადებული 21.12.1969 წელს თბილისში, მცხ. გორის ონში, სოფ. ძევერა, პ/მ №გ0251697, პირ№59001016222, გაც. 06.08.1999წ. გორის შს ამმართველოს მიერ), გიორგი ბაქრაძემ (დაბადებული 10.01.1979 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, აბაშიძის ქ. 29. ბ. 8, პ/მ №ა0191737, პირ№01017006541, გაც. 28.03.1998წ. თბილისის ვაკის რ/ნის ს სამმართველოს მიერ) მომმართეს. მე შევამოწმე ლეილა ჩხიროძის უფლებამოსილება, ოგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ვაჟა მოდებაძე, თანახმად მინდობილობისა, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2006 წლის 10 აპრილს ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. გინტურის შემცვლელი პირის ნატო ჭანკოტაძის მიერ რ№1-3719-ით. მე შევამოწმე ქეთევან ცერცვაძის უფლებამოსილება, ოგი უფლებამოსილია წარმოადგინოს დავით დარცმელიძე, თანახმად მინდობილობისა, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია 2003 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. თოფურიას მიერ რ№1-2218-ით. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე შემდეგი სანოტარო აქტი:

ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის /ამხანაგობის/ შესახებ

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ამხანაგობა“ - ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 53“.

„ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი“ - ფიზიკური პირები, რომლებიც ხელს აწერენ წინამდებარე სადამფუძნებლო ხელშეკრულებას.

„ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი“ - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც ხელშეკრულებით დადგენილი წესით გაწევრიანდება ამხანაგობაში საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით.

„წარმომადგენელი“ - ფიზიკური პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.

„შენატანი“ - მოძრავი ან უძრავი ქონება ან/და უფლებების ერთობლიობა, რომლებსაც „ამხანაგობის“ წევრები გადასცემენ „ამხანაგობას“ საკუთრებაში.

ბარტო კაპიტალი“ - ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის დამფუძნებლების მიერ „ამხანაგობისათვის“ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ან/და მოძრავი ქონების ჯამი.

ლი“ - შენობის და მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს „ამხანაგობის“ წევრი.

ანთავსება“ - გაუნაწილებელი ან/და გამონთავისუფლებული საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართის მომავალ მესაკუთრეზე აღრიცხვა.

ააგენტო“ - საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

დამფინანსებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს ფულად შენატანს.

მუხლი 1. ერთობლივი საქმიანობის მიზანი. სამართლებრივი სტატუსი. სახელწოდება.

1.1 ერთობლივი საქმიანობის /ამხანაგობის/ მიზანს წარმოადგენს წინამდებარე დაფუძნების აქტით, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესითა და ვადებში, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. 53-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება /შემდგომში - „საცხოვრებელი სახლი"/ და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც „ამხანაგობის" წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და/ან განკარგვა.

1.2 მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივებისა და იდენთიფიკაციის მიზნებისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ საქმიანობას - ამხანაგობას ეწოდება - „ამხანაგობა - თევდორე მღვდლის 53“ /შემდგომში „ამხანაგობა“/

1.3 „ამხანაგობის“ მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 53.

მუხლი 2. შენატანები ამხანაგობაში.

2.1 ამხანაგობის თითოეულმა დამფუძნებლებმა ამხანაგობაში შეიტანა:

2.1.1 **ფიზიკურმა პირებმა** – ნოდარ ქავთარაძემ, ბადრი დარჯანიამ, ემილი მიქაიამ, მალხაზ ქავთარაძემ - მიწის ნაკვეთი ფართით ორიათასორასოთხმოცდახუთი (2285) კვ.მ (რომლის მახასიათებელია: სარეგისტრაციო ზონა - თბილისი, კოდი - , სექტორი - დიდუბე, კოდი - 13, კვარტლის №6, ნაკვეთის №7/18, ნაკვეთის წინა №7/6, ფართობი - ორიათასორასოთხმოცდახუთი (2285) კვმ, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, უფლება – საერთო საკუთრება, მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 53).

აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მესაკუთრის საკუთრების უფლება დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: 1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ სარეგისტრაციო №1/13/6/7/18, განაცხადის რეგისტრაციის №18826/2006 თარიღი 12.04.2006, გაც. 13.04.2006წ.

უძრავი ქონების მესაკუთრეთა განცხადებით, აღნიშნული უძრავი ქონება არ არის სადავო, არ არის ყადაღადადებული, რასაც ადასტურებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2006 წლის 10 აპრილს გაცემული ყადაღის ცნობა № ყად-13777/06. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია მიწის ნაკვეთის მიმართ.

2 ქეთევან ცერცვაძის შენატანი წარმოადგენს შემდეგი ვალდებულებების შესრულებას:

- სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება;
- მშენებლობისათვის საჭირო ყველა ნებართვის მიღება შესაბამისი უწყებებიდან;
- მშენებლობის დაფინანსება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით იმ მიმართულებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, შესაბამისი ნებართვის აღებიდან ოცდაათი (30) თვის განმავლობაში მოხდეს ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 53“ სახლის მშენებლობის სრულად დამთავრება, გალესვა, დახურვა, შემინვა, ლიფტი, ყველა აუცილებელი კომუნიკაციების მიერთება, გარე ფასადის კარ-ფანჯრებით აღჭურვა, წინამდებარე ხელშეკრულებითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული რემონტი;
- ინვესტიციების მოზიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად;

2.1.3 ვაჟა მოდებაძისა და ლეილა ჩხეიძის შენატანი „ამხანაგობაში" წარმოადგენს შემდეგი ვალდებულებების შესრულებას:

- ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა დამტკიცებული სამშენებლო დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი.
- მშენებლობის დაწყება (საძირკვლის ჩასხმა) საძიებო-საპროექტო სამუშაოების დამთავრებისა და მათი შესაბამისი სამსახურების მიერ დამტკიცებისთანავე და მშენებლობის დამთავრება, შესაბამისი ნებართვის აღებიდან ოცდაათი (30) თვის განმავლობაში.
- ამხანაგობის" ფინანსური საქმიანობის განხორციელება საფინანსო სფეროში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2.1.4 დანარჩენი „დამფუძნებელი წევრის“ შენატანს წარმოადგენს ფულადი თანხა.

2.2 საცხოვრებელი სახლის სართულების და ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები დადგენილია საპროექტო დოკუმენტაციით, რომელიც შეთანხმდება ქალაქის მთავარ არქიტექტორთან და გაივლის შესაბამისი ექსპერტიზას.

2.3 დამფუძნებელთა შორის ბინებისა და ფართის განაწილება წარმოდგენილია წინამდებარე აქტის დანართი №2-ში.

2.4 „ამხანაგობის“ თავმჯდომარე ვალდებულია სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია რეგისტრაციის მიზნით დაუყოვნებლივ წარუდგინოს „სააგენტოს“.

მუხლი 3. „ამხანაგობის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა.

3.1 სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, „ამხანაგობის“ წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები“ და „ჩვეულებრივი წევრები“.

„დამფუძნებელ წევრებს“ განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული ფიზიკური პირები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა „ამხანაგობა“ და რომლებიც აკონტროლებენ „ამხანაგობის“ ორგანიზაციულ-ფინანსურ მართვას.

„ჩვეულებრივი წევრები“ გახდებიან ის პირები, რომლებიც „დამფუძნებელ წევრთა“ გადაწყვეტილების შესაბამისად შემდგომში გახდებიან „ამხანაგობის“ წევრები.

3.2 „ამხანაგობის“ მართვის ორგანოებია:

3.2.1 „ამხანაგობის“ „დამფუძნებელ წევრთა“ კრება;

3.2.2 „ამხანაგობის“ თავმჯდომარე.

მუხლი 4. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება.

4.1 „დამფუძნებელ წევრთა“ კრება არის „ამხანაგობის“ მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, „ამხანაგობის“ თავმჯდომარის ან რომელიმე „დამფუძნებელი წევრის“ მოთხოვნით.

4.2 „დამფუძნებელ წევრთა“ საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა „დამფუძნებელ წევრთა“ რიცხვითი რაოდენობის 2/3-ის თანხმობა.

4.3 „ამხანაგობის“ თითოეული „დამფუძნებელი წევრი“ სარგებლობს ერთი ხმით, დამოუკიდებლად მისი წილის ოდენობისა.

4.4 „დამფუძნებელ წევრთა“ კრების სპეციალურ კომპეტენციას განეკუთვნება:

4.4.1 „ამხანაგობის“ თავმჯდომარის არჩევა;

4.4.2 ფინანსური ანგარიშის მოსმენა და გადაწყვეტილებების მიღება;

4.4.3 „ამხანაგობის“ ჩვეულებრივი წევრის მიღება;

4.4.4 ძირითად ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება.

4.4.5 „ამხანაგობის“ თავმჯდომარის მიერ შემოტანილი საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.

4.5 „ამხანაგობის“ ყოველი წევრი ვალდებულია არ გაახმაუროს „ამხანაგობის“ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

4.6 თითოეულ „დამფუძნებელ წევრს“ უფლება აქვს „ამხანაგობის“ სხვა წევრს მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 5. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე.

5.1 „ამხანაგობის“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, „ამხანაგობის“ თავმჯდომარედ არჩეულია ვაჟა მოდებაძე.

